# ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
# ბ რ ძ ა ნ ებ ა

ბრძანება:**ბ74.7422133001**

თარიღი:**13/05/2022**

## ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების ფუნქციების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 57-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 03 მაისის N14 დადგენილებით დამტკიცებული „ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების” მე-8 და მე-9 მუხლების საფუძველზე

**ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების ფუნქციები დანართი N1-ის შესაბამისად.

3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქ. № 11), ბრძანების ძალაში შესვლის დღიდან 1(ერთი) თვის ვადაში.

4. ბრძანება ძალაში შევიდეს 2022 წლის 16 მაისიდან.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი N 1
ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
№74.7422133001 - 13.05.2022 ბრძანებისა

# ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეების საშტატო ერთეულების (პოზიციების) ფუნქციები

<u>მერის პირველი მოადგილე</u>

- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.
- საზედამხედველო სფეროში აკონტორლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მერის დავალებების შესრულებას.
- კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, შესყიდვების სამსახურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ეკონომკისა და ქონების მართვის სამსახურის საქმიანობას;
- კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კომუნალური გაერთისნების“ საქმიანობას;
- კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „მეშახტეს“ საქმიანობას;
- მერის დავალებით აწარმოებს მოლაპარაკებებს შესაბამის უწყებებთან და ქვე-საუწყებო ორგანოებთან, ორგანიზაციებთან, იურიდიულ პირებთან და ანგარიშებს წარუდეგნს მერს;
- მერს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს დაქვემდებარებული თანამშრომლების წახალისების შესახებ, ასევე, მათ მიერ დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაზე;
- ახდენს დროულ რეაგირებას და წარუდგენს მერს დაქვემდებარებულთა მიერ თანამდებობრივი ინსტრუქციების, მათ მიერ შრომის შინაგანაწესის, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების ტექნიკის წესების, შრომის დაცვის და სხვა შიდა ნორმატიული დოკუმენტებისა და ბრძანებების შეუსრულებლობაზე;
- მერს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
- მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, ასევე, მერის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს ანგარიშებსა და ახსნა-განმარტებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით;
- კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.

<u>მერის მოადგილე</u>

- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
- საზედამხედველო სფეროში აკონტროლებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებისა და მერის დავალებების შესრულებას.
- კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის, იურიდიული სამსახურისა და ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობას;
- კოორდინაციას უწევს და ზედამხედველობს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სკოლამდელი აღზრის გაწესებულებათა გაერთიანების“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „კულტურის ობიექტების გაერთიანების“, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ცენტრის“ და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სპორტული ცენტრის“ საქმიანობას ;
- აწარმოებს საგრანტო პროექტების მოძიებას და აქტიურად მონაწილეობს აღნიშნული პროექტების შედგენა/განხორციელებაში;
- მერის დავალებით აწარმოებს მოლაპარაკებებს ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტების განხორციელების თაობაზე და ანგარიშებს წარუდეგნს მერს;
- მერს წარუდგენს დასაბუთებულ წინადადებებს დაქვემდებარებული თანამშრომლების წახალისების შესახებ, ასევე, მათ მიერ დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებაზე;
- მერს წარუდგენს სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებულ საკითხებს, წინადადებებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს;
- მერს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს სტრუქტურული ერთეულების მიერ შესრულებულ სამუშაოთა შესახებ, ასევე, მერის მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგენს ანაგრიშებსა და ახსნა-განმარტებებს კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით;
- კომპეტენციის ფარგლებში ასრულებს მოქმედი კანონმდებლობითა და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა ფუნქცია-მოვალეობებს.